პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 სამშაბათი 2 ნოემბერი № 258 (16688) ფასი 2 კაპ. 1976

ხუთწლედის მოწინავენი

ენერგიული შრომით დაწინაურდა „ეკონომიურ მანგანუმის“ ლენინის ორდენოსანი სამთამადნო კომბინატის ახალი ოთხვისის მაღაროთა-სამმართველოს კოლექტივი. ბევრმა მაღაროელმა უკვე უპატაკა წლიური დავალების შესრულება. ხერათზე: მეათე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გამაღებული სოციალისტური შეჯიბრების მეწინავენი მებიგე რ. ლომსაძე (მარცხნივ) და ელექტროზეინკალი გ. შერ გელაშვილი. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პარტია ლენინური კურსით მიგვიძღვის

ბენმა დიადმა სამშობლომ წარმატებით დაიწყო მეათე ხუთწლედი. საბჭოთა ადამიანები შთაგონებით შრომობენ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. მათ უსაზღვრო სწამთ ლენინური პარტიისა და ამას საქმით, თავდადებული მუშაობით ამტკიცებენ კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. მილიონთა გამოცდილება, ცხოვრებისეული პრაქტიკა, ერთსულოვანი საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერა კვლავ და კვლავ გვარწმუნებს, თუ რაოდენ ღრმად არის დასაბუთებული პარტიული გადაწყვეტილებანი. ეს სავსებით ეხება ამას წინათ გამართულ XXV ცენტრალური კომიტეტის პლენუმსა და სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებებსაც.

პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ხუთწლიანი გეგმისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმა, სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საკითხები.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში, პლენუმის მასალებში ნაჩვენებია სკკპ XXV ყრილობის შემდეგ პარტიისა და ხალხის მუშაობის შედეგები, ღრმად და ყოველმხრივ არის გაშუქებული ყრილობის გადაწყვეტილებათა შემდგომი რეალიზაციის გზები, მოცემულია მეათე ხუთწლიანი გეგმისა და შემდეგი სამეურნეო წლის ვრცელი დახასიათება და პოლიტიკური შეფასება. ამავე დროს გამოვლენილია და ზუსტად არის მოხაზული მუშაობის გადამწყვეტი უბნები, რომლებიც პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ყველაზე დიდ ყურადღებას, პარტიისა და ხალხის ძალების ყველაზე დიდ კონცენტრაციას მოითხოვს. სიტყვაში მოცემულია თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების ფართო პანორამა, დასაბუთებულია პარტიისა და სახელმწიფოს მორიგი ამოცანები საგარეო-პოლიტიკურ დარგში, ხალხთა შვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის შემდგომ ბრძოლაში.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ ყველა საერთო-ეკონომიური მაჩვენებლით — ეროვნული შემოსავლის, სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდით, კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობით, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებით — მეათე ხუთწლიანი გეგმის პროექტი შეესაბამება სკკპ XXV ყრილობის დებულებებს.

სამრეწველო პროდუქციის წარმოება ხუთ წელიწადში გაიზრდება 36 პროცენტით, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა — 16 პროცენტით; სახალხო მეურნეობაში დაბანდება 621 მილიარდ მანეთს გადაუპარებს. მეათე ხუთწლედი გამოირჩევა მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების აბსოლუტური მატებით. ფოლადის წარმოება გაიზრდება 27,2 მილიონი ტონით, ნავთობისა — 149,2 მილიონი ტონით, გაზისა — 145,7 მილიარდი კუბური მეტრით, ქვანახშირისა — 103,7 მილიონი ტონით, ელექტროენერგიისა — 341,4 მილიარდი კილოვატსაათით. 45,1 მილიარდი მანეთით გადაიდება სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება. თითქმის 40 მილიონი ტონით უნდა გაიზარდოს მარცვლეულის საშუალო-წლიური მოსავალი.

ამასთანავე საგეგმო პროექტების სიმძიმის ცენტრი სულ უფრო ხდება ხარისხობრივი მაჩვენებლების მხარეს. „ამით, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — აისახება პარტიის მოთხოვნა — ვიმუშაოთ უკეთ, ვიმუშაოთ უფრო ეფექტიანად, ვიმუშაოთ მაქსიმალური უკუგებით“. ეფექტიანობა და ხარისხი — ეს ორი სიტყვა ახლა მეათე სამეურნეო საქმიანობის დევიზი გახდა. ხუთწლედში დაგეგმილია 25 პროცენტით გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება, საგრძნობლად გაუმჯობესდეს ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების მაჩვენებლები, შემცირდეს პროდუქციის მასალატევადობა.

ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესების მთავარი ბერკეტებია მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, სრულყოფილი ტექნოლოგიის, პროგრესული სახეობათა მასალების გამოყენება, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვა, დაგეგმისა და მართვის სრულყოფა, შრომელთა განათლებისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლება.

ხუთწლედისა და 1977 წლის გეგმებში ხორცი შეესხა ფართო სოციალურმა პროგრამამ, რომელიც პარტიის XXV ყრილობამ გამოაცხადა. ხუთი წლის მანძილზე თითქმის 76 მილიარდი მანეთით გაიზრდება მოხმარების ფონდი. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 21 პროცენტით გაიზრდება, ამასთან კიდევ უფრო მეტ მატებას მიიღებენ ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახები. აშენდება 550 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა გაიზრდება 29 პროცენტით, გაუმჯობესდება საქონლის ხარისხი და ასორტიმენტი. კიდევ უფრო განვითარდება სოციალური უზრუნველყოფა, სახალხო განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და საყოფაცხოვრებო მომსახურება. გათვალისწინებულია დაახლოებით 11 მილიარდი მანეთი მოხმარდეს გარემოს ბუნების დაცვას.

„როცა მეათე ხუთწლედის სოციალურ პროგრამას ვაფასებთ, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, ამხანაგებო, რომ მისი შინაარსი სავსებით შეესაბამება ხუთწლედის მთავარ ამოცანას, პარტიის კურსს ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლებისათვის“.

პარტიის მიერ წამოყენებული საერთო მოთხოვნა — ავამაღლოთ ეფექტიანობა და ხარისხი — სხვადასხვანაირად ხორციელდება მუშაობის სხვადასხვა უბანზე. სწორედ ამიტომ საჭიროა კონკრეტული ეკონომიური აზროვნება. ამასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მთავარი ყურადღება დაუთმო მთელ რიგ პრობლემებს, რომლებსაც პირველ პლანზე აყენებს სახალხო მეურნეობის განვითარების მთელი მსვლელობა.

ერთ-ერთი მთავარია კაპიტალური მშენებლობა. ხუთწლიანი გეგმა აქ მიზნად გვისახავს შეუამაროთ დაუთავრებელი მშენებლობის მოცულობა, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ვადები და ღირებულება, დავაჩქაროთ მოქმედ სიმძლავრეთა რეკონსტრუქცია. სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობა უნდა ფასდებოდეს დამთავრებული და შემკვეთებისათვის გადაცემული მზა ობიექტებითა და ასამუშავებელი კომპლექსებით.

ხუთწლედის მეორე დიდმნიშვნელოვანი ამოცანა ის არის, რომ ავამაღლოთ სახალხო მეურნეობის ისეთი დარგების ეფექტიანობა, როგორიც არის მომპოვებელი მრეწველობა, ენერგეტიკა, მეტალურგია. ბევრი მაჩვენებლით აქ მსოფლიოში პირველ ადგილზე გავედით. ამ დარგების მნიშვნელოვანი განვითარება მოცემულია ხუთწლიან გეგმაში. მაგრამ მოთხოვნილება უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე რესურსები. მით უფრო საჭიროა ნავთობის, გაზის, ქვანახშირის, ფოლადის, ნაგლინის, ფერადი ლითონების წარმოების რაოდენობრივ ზრდასთან ერთად უმჯობესდებოდეს მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები. საქმე ეხება აგრეთვე მათი ხარჯის უფრო მკაცრი კოეფიციენტების შემოღებას, მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის დაცვას ყველა მომხმარებელ დარგში.

მეათე ხუთწლედში დიდი ყურადღება ეთმობა სოფლის მეურნეობას. მისი საჭიროებისათვის გამოიყოფა 170 მილიარდ მანეთზე მეტი. ასეთი უზარმაზარი თანხის გამოძებნა ადვილი არ იყო, მაგრამ პარტიამ შეგნებულად მიმართა ამას, რადგანაც ახლა არ არის იმაზე საარსებო ამოცანა, ვიდრე ყველაზე თანამედროვე დონემდე ჩვენი ეკონომიკის აგრარული სექტორის აყვანა.

მთავარია ამ სექტორში განვამტკიცოთ და განვავითაროთ მარცვლეულის წარმოების წარმატებანი, ხუთწლედის დამლევისათვის მივაღწიოთ წელიწადში 235 მილიონ ტონა მოსავლიანობას, რისთვისაც საჭიროა ყოველნაირად აავამაღლოთ მიწათმოქმედების კულტურა. კვლავაც უნდა გავზარდოთ ბამბის, სელის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, ბოსტნეულის, ხილისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქციის წარმოება. და, რაც განსაკუთრებით საჭიროა, გაცელებით მეტი მეცხოველეობის პროდუქტები ვაწარმოოთ, უფრო სწრაფად დავძლიოთ სიძნელენი ხორცითა და რძის პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგებაში.

„ამ პლენუმზე, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა,—მინდა კვლავ აღვნიშნო, რომ თანამედროვე ეტაპზე სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის პრობლემა, უწინარეს ყოვლისა, — ეს არის მისი ეფექტიანობის ამაღლების პრობლემა ყველაზე ფართო თვალსაზრისით. ზოგადი ამოცანა შეიძლება ახე ჩამოვაყალიბოთ: გონივრულად, ყაირათიანად გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი უზარმაზარი რესურსები, გავუფრთხილდეთ მიწას, მივაღწიოთ მაქსიმალურ უკუგებას ყოველ ჰექტარზე, ყოველ დაბანდებულ მანეთზე, ყოველ ტონა სასუქზე“.

როცა დღა სახრავს გამოჰყოფ მიწებს მელიორაციისათვის, სახელმწიფოს უფლება აქვს მოელოდეს, რომ ხარჯავ და ამოშრობილ მიწებზე მიიღებს პროდუქციის შესაბამის მატებას, გაუმჯობესდება მისი ხარისხი. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში პირველ პლანზე უნდა დადგეს ტრაქტორებს, მანქანებისა და მოწყობილობის ხარისხი, მათი კომპლექსური მიწოდება. სოფლად მექანიზატორთა მომზადება და შენარჩუნება. სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის დარგში საჭიროა უზრუნველვყოთ სასუქების ხარისხის გაუმჯობესება, სწრაფად გავზარდოთ ფოსფატების წარმოება, სერიოზულად განვამტკიცოთ აგროქიმიური სამსახური, და, რაც მთავარია, ბრძოლა გამოვუცხადოთ სასუქების დანაკარგებს. დიდი ამოცანები დგას მეცხოველეობაში, სადაც პირუტყვის სულადობის ზრდასთან ერთად უნდა გამოვიყენოთ სახორცე მესაქონლეობის, მეღორეობისა და მეცხვარეობის განვითარებაში, ბროილერის მრეწველობაში არსებული მნიშვნელოვანი რეზერვები.

ეფექტიანობის ამაღლებაში სოფლის მეურნეობის ხარისხობრივი მაჩვენებლების შემდგომ გაუმჯობესებაში განსაკუთრებულ როლს შეასრულებს სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარება.

უპირველეს ყურადღებას მოითხოვს დაძაბული შრომით მოპოვებული მიწის ბარაქის დაცვა, საჭიროა, რომ სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის განხორციელებული ღონისძიებების შედეგები სუფრაზე იგრძნოს თვითეულმა საბჭოთა ოჯახმა.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს ხალხსა მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოების გადაჭრით გაუმჯობესებისათვის, რაზეც მკაცრად და მოთხოვნილად იყო ლაპარაკი სკკპ XXV ყრილობაზე. უნდა გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი, გადავწყვიტოთ ხარისხის სტიმულირების საკითხი, უფრო მოქნილი გავხადოთ ფაგეგმვა, რომელიც ითვალისწინებს მომხმარებელთა გემოვნებასა და მოთხოვნილებებს, უზრუნველვყოთ მასობრივი მოთხოვნის პროდუქციის გამომშვები მრავალი დარგის კოორდინაცია. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ამ საკითხს მეტად დიდმნიშვნელოვანი, ჭეშმარიტად საპროგრამო უწოდა როგორც სოციალური, ისე ეკონომიური თვალსაზრისით: პარტია მასებს რაზმავს თავდადებული შრომისათვის, რაც, ბუნებრივია, გვავალებს უკეთ დავაკმაყოფილოთ ხალხის მოთხოვნილებანი.

ომის შორეული შედეგებით გამოწვეული დემოგრაფიული ფაქტორების გავლენით ოთხმოციან წლებში მკვეთრად შემცირდება შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაკადი. ეს განსაკუთრებით მწვავედ სვამს შრომითი რესურსების დაზოგვის, უფრო რაციონალური გამოყენების, უწინარეს ყოვლისა ხელის ოპერაციების მექანიზაციის გზით შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების ამოცანას. უნდა გავაძლიეროთ ზრუნვა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, გადაჭრით აღმოვფხვრათ გაცდენების, დაგვიანების, მოცდენების ფაქტები, ამ დიდი ბოროტების წინააღმდეგ დაღრაზმით ყველა პარტიული ორგანიზაცია, მთელი საზოგადოებრიობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა ხუთწლიანი გეგმის ცალკეული ელემენტების ერთგვარი დაძაბულობა, რაც უკავშირდება სიძნელეებს სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის მოთხოვნილებათა მთლიანად უზრუნველყოფაში, ნაკლოვანებებს დაგეგმვაში. „ყოველივე ეს, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — სამინისტროებსა და უწყებებს, საოლქო, სამხარეო კომიტეტებსა და რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს ავალებს პრაქტიკული სამეურნეო საქმიანობის მსვლელობაში გამოავლინონ ახალი რეზერვები, მიაღწიონ უფრო მაღალ მიჯნებზე ბალანსს. ყოველივე ეს გვავალებს განსაკუთრებულ კონტროლს დავუქვემდებაროთ სწორედ ის უბნები, სადაც რესურსების ნაკლებობის გამო კვლავ არის ხარვეზები და სიძნელეები“.

რაოდენ დიდია ჩვენი შესაძლებლობანი, როგორია პარტიის ორგანიზატორული მუშაობის ძალა, ამას დამაჯერებლად მოწმობს მიმდინარე 1976 წლის გამოცდილება. პარტიის უდიდესი საქმიანობის, ხალხის თავდადებული შრომის შედეგად მოპოვებულია შესანიშნავი წარმატებანი. ცხრა თვეში სამრეწველო პროდუქცია 4,8 პროცენტით გაიზარდა გეგმით გათვალისწინებული 4,3 პროცენტის ნაცვლად. ღირსეულად მოვიგეთ უძნელესი ბრძოლა პურისათვის: დღეისათვის გალეწილია 216 მილიონ ტონაზე მეტი მარცვლეული. სახელმწიფო ბელეშები უკვე დაბინავებულია დაახლოებით 5,5 მილიარდი ფუთი პური. ეს უდიდესი გამარჯვებაა.

ბევრმა კოლექტივმა მეურნეობის სხვადასხვა დარგში მუშაობის მაღალი ეფექტიანობის ნიმუშები გვიჩვენა. მაგრამ საქმე ყველგან კარგად როდია. ამიტომ, აღნიშნა მხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, „უნდა ვისწავლოთ უფრო ეფექტიანი ბრძოლა ეფექტიანობის ამაღლებისათვის“.

კარს მოგვადგა მეათე ხუთწლედის მეორე წელი, რომელშიც უფრო მაღალ მიჯნაზე უნდა გავიდეთ, ყველაფერი ვიღონოთ, რომ გადავაკარბოთ საგეგმო მონახაზებს. 1977 წელს ქვეყანა აღნიშნავს დიდ იუბილეს — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს. ხრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ მთელი ჩვენი ლენინური პარტია, მთელი ჩვენი ხალხი სახელოვან თარიღს ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნავენ.

ამ ხუთწლედში გაძლიერდება საგარეო-ეკონომიური კავშირურთიერთობის განვითარება. ამოცანად დასახულია ავამაღლოთ მისი ეფექტიანობა, სრულვყოთ საგარეო-ეკონომიური მუშაობის მართვა.

როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო საქმიანობა დაახასიათა, ამხანაგად ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ იგი მიმდინარეობს პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების განხორციელებას, ყრილობაზე მიღებული მშვიდობისათვის, საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამის შესრულების ნიშნით.

მტკიცდება და წარმატებით ვითარდება სოციალისტურ სახელმწიფოთა დიადი თანამეგობრობა, კვლავ წინ მიდის სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობა, ძალას იკრებს სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაცია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მუდმივი კონტაქტები აქვს სოციალისტური ქვეყნების მომძე პარტიების ხელმძღვანელებთან. ამ ქვეყნების კომუნისტური პარტიების თანამშრომლობის განვითარებაში, ერთობლივი პოზიციების შემუშავებაში კიდევ ერთი ეტაპი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და მომძე პარტიების ხელმძღვანელთა შეხვედრების სერია.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ვიეტნამის გაერთიანებულ დამოკრატიულ და სოციალისტურ რესპუბლიკად მის გამოცხადებას. ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ სოციალისტურ სახელმწიფოთა ოჯახს ლაოსის სახით კიდევ ერთი ახალი წევრი შეემატა. დამოუკიდებელი განვითარების გზა დაისახა დემოკრატიული კამბუჩიის წინაშეც.

ჩინეთთან ურთიერთობაში მტკიცედ ვადგავართ სკკპ XXV ყრილობის ხაზს, თანამიმდევრულად ვესწრაფვით ამ ურთიერთობის ნორმალიზაციას. სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის არ არის ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც კეთილმეზობლური სულისკვეთებით არ შეიძლებოდეს. ჩვენ კვლავაც ამ მიმართულებით ვიმოქმედებთ. საქმე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა პოზიციას დიიკავებს მეორე მხარე.

ნაყოფიერად ვითარდება საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა ქვეყნებთან, რომლებიც კოლონიური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლდნენ და ახალ ცხოვრებას აშენებენ. ამ ქვეყნებში მოიხდარი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენებიდან პირველ პლანზე დგება ანგოლელ პატრიოტთა გამარჯვება. იგი შთამაგონებელი სტიმული გახდა აფრიკის პროგრესული ძალებისათვის. სსრ კავშირსა და ანგოლას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადება ახალი ნაბიჯია სოციალიზმის სამყაროსა ად ახალგაზრდა განთავისუფლებული სახელმწიფოების დიადი მეგობრობის განმტკიცების გზაზე. მტკიცდება და ღრმავდება მეგობრობა, ფართოვდება თანამშრომლობა ინდოეთთან — აზიის დიდ და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსთან.

საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს განვითარებადი ქვეყნების სამართლიან მოთხოვნებს, რომ საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობა თანასწორუფლებიან საწყისებზე კადავიდეს, აღმოიფხვრას კაპიტალისტური სახელმწიფოთა მიერ „მესამე სამყაროს“ უფრო სუსტი პარტნიორების ექსპლოატაციის ყველა ფორმა, საერთაშორისო ცხოვრების შესამჩნევი ფაქტორი, იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და აგრესიის წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლის მსოფლიო ფრონტის დიდმნიშვნელოვანი რგოლი გახდა მიუმხრობლობის მოძრაობა, რომელიც ძალიანად პროგრესულ ხასიათს ინარჩუნებს.

საბჭოეთი თანამიმდევრულად იღვწის ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგებისათვის. ახლო აღმოსავლეთის საკითხმა უკანასკნელ ხანს განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა, რამდენადაც ვთარება ამ რაიონში კვლავ გამწვავდა ლიბანის ამბების გამო. სსრ კავშირი იმავითვე ლიბანის ძმათამკვლელი ომის შეწყვეტას უჭერდა მხარს, მოითხოვდა, რომ მისი პროგრესული ძალები და პალესტინელი პატრიოტები დაეცვათ განადგურებისაგან, რათა შენარჩუნებული ყოფილიყო ლიბანის სახელმწიფო ერთიანობა. საბჭოთა კავშირი კვლავაც ყველაფერს იღონებს ლიბანის მდგომარეობის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის.

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენმა ქვეყანამ გამოიჩინა ახალი ინიციატივა, რომლის მიზანია მთლიანად ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მოწესრიგება. საქმე ეხება ეუნეკის კონფერენციის განახლებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ■ ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა. ჩვენ მიერ შეთავაზებული ამ კონფერენციის კონკრეტული დღის წესრიგი მოიცავს ყველა პრობლემას, რომელთა გადაწყვეტას საქმით მოჰყვებოდა მტკიცე მშვიდობის დამყარება ახლო აღმოსავლეთში. ჩვენი პოლიტიკა ამ რაიონში, ისევე როგორც ყველგან, პრინციპული, კლასობრივი, მარქსისტულ-ლენინური, და სწორედ ასეთი პოლიტიკის განხორციელება შეუძლია საბჭოთა კავშირს.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა სრული შესაბამისობით ჩვენი პარტია და სახელმწიფო განაგრძობენ მუშაობას კაპიტალისტურ ქვეყნებთან თანასწორუფლებიანი ხელსაყრელი ურთიერთობის განვითარებისათვის. ამ ქვეყნებთან სულ უფრო ფართოდ თანამშრომლობა ჩაღდება პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის დარგში. მთელი მსოფლიო ხედავს: სსრ კავშირი მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის გზას ადგას, — განაცხადა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — და მოეკიმა მსოფლიომ უნდა იცოდეს: ჩვენ კვლავაც ამ გზით ვივლით“.

თუმცა ზოგიერთ სახელმწიფოსთან ასეთი ურთიერთობის განვითარება უკანასკნელ ხანს შეყოვნდა, რაც სრულიად არ არის ჩვენი ბრალი, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ გაიმარჯვებს პოლიტიკური რეალიზმი და ამ ურთიერთობის შემდგომი განვითარების გზა. მთლიანად ამერიკის შეერთებულ შტატებთან ჩვენი ურთიერთობის განვითარება ჯერჯერობით პოზიტიურ მიმართულებას ინარჩუნებს, თუმცა ამას აბრკოლებენ ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული ძალები. სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის კეთილი ურთიერთობის განმტკიცებისათვის ორივე მხარის მზადყოფნას მოწმობს პრინციპულად მაღლეული შეთანხმება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მორიგი ვიზიტის შესახებ. რაც შეეხება საფრანგეთს, ჩვენი მრავალმხრივი ურთიერთობა მასთან წარმატებით ვითარდება. სოლიდური საფუძველი გვაქვს, რათა განვითარდეს იაპონიასთან საბჭოთა კავშირის ფართო და მტკიცე ხელსაყრელი ურთიერთობა, თუმცა იაპონიის ხელისუფალთა მოქმედებამ სერიოზული ჩრდილი მიაყენა საერთო ატმოსფეროს საბჭოთა თვითმფრინავთან დაკავშირებული ამასწინანდელი ინციდენტის დროს. ამ მოქმედებამ საბჭოთა ადამიანებს ეჭვი აღუძრა გულწრფელია თუ არა განცხადებანი, რომლებსაც ტოკიოში აკეთებენ, სსრ კავშირთან კეთილი ურთიერთობა გვსურსო.

საბჭოთა ქვეყანა თანამიმდევრულად ასრულებს ჰელსინკის სრულიად ევროპის თათბირზე მიღებული ხაბოლო აქტის ყველა დებულებას, სსრ კავშირი აქტიურად უწყობს ხელს, რომ ევროპაში სახელმწიფოთა შორის ნდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ჯანსაღი კლიმატი შეიქმნას. ჩვენ ბევრ რამეს ვაკეთებთ, რომ კიდევ უფრო განვითარდეს კონტინენტზე ეკონომიური კავშირურთიერთობა, აგრეთვე ხალხთა კულტურული და სხვა კონტაქტები, გაიცვალოს ინფორმაცია. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირი მტკიცედ მოითხოვს ზუსტად იყოს დაცული ერთმანეთის სუვერენიტეტის პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პირობებში სულ უფრო იზრდება მოთხოვნები პარტიის იდეოლოგიური მუშაობისადმი. ჩვენი პროპაგანდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, ფაქიზად უნდა რეაგირებდეს მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებზე, უნდა იყოს გასაგები და დამაჯერებელი. იდეოლოგიური მუშაობის საკითხები მუდამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყურადღების ცენტრშია და ამას მოითხოვს ყველა პარტიული ორგანიზაციისაგან.

მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლაში არ არის იმაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, განიარაღებაზე გადასვლა. პარტიის XXV ყრილობის შემდეგ საბჭოთა კავშირმა ამ თვალსაზრისით მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მორიგ ხესიაზე. ისინი ითვალისწინებენ საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის მსოფლიო ხელშეკრულების დადებას, განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევას ან როგორც ღონისძიებას ამ მიმართულებით, — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის მოწვევას. წარვადგინეთ აგრეთვე მემორანდუმი, რომელიც შეიცავს განიარაღების იმ ღონისძიებათა ფართო, ყოველმხრივ პროგრამას, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია ამჟამად. საბჭოთა კავშირის ახალ ინიციატივებს გაგებით მოეკიდა და მხარი დაუჭირა ათობით სახელმწიფომ, ფართო მშვიდობისმოყვარე ხალხადგილებრობამ.

„თუ ვილაპარაკებთ მთავარზე, რასაც საერთაშორისო საქმეებში მივაღწიეთ, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ალალი გულით შეგვიძლია ვთქვათ: სსრ სოციალისტურ სახელმწიფოებთან ერთად და მთელი მშვიდობისმოყვარე, რეალისტურად მოაზროვნე ძალების მხარდაჭერით ჩვენს მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად შეძლებულ ■ ■ ■

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

რესპუბლიკის შრომითი ნაბიჯი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის პროფსაბჭოს და სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის წარდგინებით განიხილეს სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის სსრ, აჭარის სსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების 1976 წლის ცხრა თვის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების საკითხი:

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისს ისტორიული დადგენილებით აღფრთოვანებულმა რესპუბლიკის მშრომელებმა კიდევ უფრო მაღლა ასწიეს საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დროშა და კარგი შედეგები მოიპოვეს 1976 წლის ივნვარ-სექტემბრის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში.

გასული ცხრა თვის მანძილზე სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 102,3 პროცენტით შესრულდა; გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია 103,1 მილიონი მანეთის პროდუქცია, წარმოებულია 102,2 მილიონი მანეთის პროდუქცია. პროდუქციის საშუალო-სადღეღამისო წარმოება წარმანლილი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5,1 პროცენტით გაიზარდა და 20,8 მილიონ მანეთს მიაღწია გეგმით გათვალისწინებული 20,3 მილიონი მანეთის ნაცვლად.

კარგად იმუშავეს რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა. წარმატებით არის რეალიზებული სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულებები. წარმატებებია მოპოვებული მეცხოველეობაში, მემცენარეობაში. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქალაქ თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“, „თბილისელენოს“, სამოდელო ფეხსაცმლის, ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო, „ნადიკვარის“ სამკერვალო, ჩაის საწონი ფაბრიკების; ქალაქ ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, ლითოფონის ქარხნის, მაუდის ფაბრიკის, ქალაქ რუსთავის მატალურგიული ქარხნის, ქალაქ ბათუმის საწარმოო სამკერვალო გაერთიანების, ჭიათურის სამთამადნო კომბინატისა და სხვა კოლექტივებმა.

მეათე ხუთწლედის პირველი წლის ცხრა თვის გეგმები და ვალდებულებები წარმატებით შესრულეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის, ავტოტრანსპორტის, დამზადების სამინისტროებმა, მთავარგაზმა, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენმა“; აფხაზეთის სსრ რესპუბლიკამ, ქალაქებმა ქუთაისმა, ტყიბულმა, აბაშის, ამბროლაურის, ბოგდანოვკის, მარნეულის, წითელწყაროს რაიონებმა.

ამასთანავე, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში არის ნაკლოვანებები. შეიმჩნევა პროდუქციის რეალიზაციის ზრდის ტემპის წლის დამდეგის მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია. მაგალითად, სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის ზრდის ტემპი ცხრა თვის მანძილზე 0,9 პუნქტით დაბალია ანალოგიურ მაჩვენებელზე, რომელიც რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების შედეგებით არის მოპოვებული წლის პირველ ნახევარში, და 1,3 პუნქტით — წლევანდელი წლის პირველ კვარტალთან შედარებით.

ანალოგიური სურათი შეიმჩნევა წლევანდელი წლის მესამე კვარტალში გეგმით რეალიზებული პროდუქციის მოცულობათა შედარებისას. გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია 25,5 მილიონი მანეთის პროდუქცია პირველი კვარტალის 32,1 მილიონ მანეთთან და მეორე კვარტალის 37,8 მილიონ მანეთთან შედარებით. 883 საწარმოდან 97-მა საწარმომ ვერ შეასრულა გეგმა-ვალდებულებები, ვერ გაასალა 33 მილიონ 442 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

მნიშვნელოვანი ჩამორჩენა აქვთ პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებაში მადნეულის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის, მეორეული ფერადი ლითონების სამმართველოს, საწარმოო გაერთიანება „საქყოფილმის“, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის, შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტის“, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის, საწარმოო გაერთიანება „საქლეგნმანქანის“, ქარხანა „საჭთალკისა“ და ზოგიერთი სხვა საწარმოს კოლექტივებს.

ცხრა თვის გეგმის შესრულებას თავი ვერ გაართვეს საქართველოს სსრ მშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებმა, აგრეთვე „მთავარმმართველომ“.

ჩამორჩენენ ქალაქები რუსთავი, გაგრა, ასპინძის, დუშეთის, ლენტეხის, სიღნაღის, თიანეთის, ბორჯომის რაიონები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა. რომლებმაც განიხილეს სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის სსრ, აჭარის სსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მიერ 1976 წლის ცხრა თვის სახელმწიფო დავალებებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულების შედეგები, **დაადგინეს:**

საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს ზორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ცნონ:

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:
კვების მრეწველობის სამინისტრო — ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	კვების მრეწველობის სამინისტრო
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო — ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო — მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო — საბინაო და კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო
ვაჭრობის სამინისტრო — ვაჭრობის სამინისტრო	ვაჭრობის სამინისტრო
სოფლის მეურნეობის სამინისტრო — მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	სოფლის მეურნეობის სამინისტრო
„საქმთავარმონტაჟსპეცმშენი“ — „საქმიდროენერგომშენი“	„საქმთავარმონტაჟსპეცმშენი“
სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი — „საქსოფლტექნიკა“	„საქსოფლტექნიკა“
„მთავარგაზი“ — მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	„მთავარგაზი“
საავტომობილო გზების სამინისტრო — კავშირგაბმულობის სამინისტრო	კავშირგაბმულობის სამინისტრო
ავტოტრანსპორტის სამინისტრო — კავშირგაბმულობის სამინისტრო	ავტოტრანსპორტის სამინისტრო
დამზადების სამინისტრო — „საქსოფლტექნიკა“.	დამზადების სამინისტრო

ასს რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი:

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:
აფხაზეთის ასსრ — აჭარის ასსრ	აფხაზეთის ასსრ
აფხაზეთის ასსრ — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	აფხაზეთის ასსრ

ქ ა ლ ა ქ ე ბ ი

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:	ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:
ბათუმი—სოხუმი	ბათუმი	ტყვარჩელი—ტყიბული	ტყიბული
გორი—ცხინვალი	ცხინვალი	ტყიბული—მიათურა	ტყიბული
ზუგდიდი—ფოთი	ზუგდიდი	გაგრა—ქობულეთის რაიონი	ქობულეთი
ქუთაისი—რუსთავი	ქუთაისი		

რ ა ი ო ნ ე ბ ი

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:	ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:
აბაშის — ოჩამჩირის	აბაშის	ზესტაფონის — სამტრედიის	სამტრედიის
ადიგენის — ასპინძის	ადიგენის	ზნაურის — ქარელის	ქარელის
ამბროლაურის — ონის	ამბროლაურის	ზუგდიდის — მახარაძის	ზუგდიდის
ახალქალაქის — ბოგდანოვკის	ბოგდანოვკის	იაზბეგის — ლენინგორის	ლენინგორის
ახალციხის — ხაშურის	ახალციხის	კასპის — მცხეთის	კასპის
ახმეტის — ყვარლის	ახმეტის	ლაგოდეხის—მარნეულის	მარნეულის
ბოლნისის — დმანისის	დმანისის	ლენტეხის — მესტიის	მესტიის
ბორჯომის — ქ. წყალტუბოს ზონა	ქ. წყალტუბოს ზონა	მაიაკოვსკის — წულუკიძის	წულუკიძის
ვანის — თერჯოლის	თერჯოლის	ორჯონიკიძის — საჩხერის	საჩხერის
გალის — ხობის	ხობის	სიღნაღის — წითელწყაროს	წითელწყაროს
გარდაბნის — მარნეულის	მარნეულის	საგარეჯოს — სიღნაღის	საგარეჯოს
გეგეჭკორის — ჩხოროწყუს	ჩხოროწყუს	თიანეთის — ლენინგორის	ლენინგორის
გორის — თელავის	გორის	ცაგერის — ამბროლაურის	ამბროლაურის
გუდაუთის — ცხაკაიას	ცხაკაიას	წალენჯიხის — გალის	გალის
გურჯაანის — თელავის	გურჯაანის	წალკის — დმანისის	დმანისის
დუშეთის — თეთრი წყაროს	თეთრი წყაროს	ჩოხატაურის — ლანჩხუთის	ლანჩხუთის
		საჩხერის — ყვარლის	საჩხერის

გამარჯვებულები გამოვლინდნენ სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების მეთოდიკურ რეკომენდაციათა საფუძველზე, რომლებიც შეიმუშავა საქართველოს სსრ მიცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან არსებულმა სოციალისტური შეჯიბრების საკითხთა სამეცნიერო საბჭომ და დაამტკიცა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ.

□ □ □

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს დაავალეს გააჩაღონ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, რათა კიდევ უფრო განავითარონ სოციალისტური შეჯიბრება და მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის, გააძლიერონ შეჯიბრების, შრომითი მეტოქეობის და ამხანაგური ურთიერთდახმარების აღმზრდელობითი ფუნქციები, უფრო აქტიურად გამოიყენონ შეჯიბრების შესაძლებლობები შრომითს კოლექტივებში ამხანაგური ვითარების შექმნისა და განმტკიცებისათვის, განავითარონ კოლექტივიზმის სულისკვეთება, ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, ჩაუნერგონ ყოველ მშრომელს ღრმა ინტერესი საერთო წარმატებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ საქართველოს მშრომელები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის მითითებებით, კონკრეტული საქმეებით ღირსეულ წვლილს შეიტანენ მეათე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულებაში და ამით უზრუნველყოფენ, რომ წლის დამლევამდე წინათ დასახული 135 მილიონი მანეთის ნაცვლად წარმოებულ იქნეს 170 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქცია. (საქინფორმი).

ქ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

„ქვანახშირისა და ფიქალის მრეწველობისა და ქვანახშირისა და ფიქალის შახტების მშენებლობის მუშაკებისათვის მოხუცებულობის პენსიის მაქსიმალური ოდენობის, ოდენობა, ნადიდების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 12 თებერვლის ბრძანებულება „ქვანახშირისა და ფიქალის მრეწველობის და ქვანახშირისა და ფიქალის შახტების მშენებლობის მუშაკებისათვის მოხუცებულობის პენსიის მაქსიმალური ოდენობის გადიდების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1976 წ. 29 ოქტომბერი.

ქ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

„დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირთა ხანმოკლე დაკავების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 13 ივლისის ბრძანებულება „დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირთა ხანმოკლე დაკავების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1976 წ. 29 ოქტომბერი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. ნ. ვ. მარტინოვის დანიშვნის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 25 ივნისის ბრძანებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. ნიკოლოზ ვასილის-ძე მარტინოვის დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1976 წ. 29 ოქტომბერი.

საპატიო წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 27 ოქტომბრის ბრძანებულებით ტრანსპორტზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება:

აბესაძეს ილუშა ივანეს-ძეს — გარდაბნის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციის ინსპექტორს

აბრამოვს ვიქტორ ლაზარეს-ძეს — თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხნის ხარატს

არველაძეს ვაჟა გრიგოლის-ძეს— ქუთაისის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს

არჩაიას შალიკო ტამფილის-ძეს ბათუმის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს

აპრეხოვს ბაგრატ დავითის-ძეს პენსიონერს.

ბაბაევს სადრადინ ზიად ოღლის — გარდაბნის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს

ბაქრაძეს შოთა გრიგოლის-ძეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო სამმართველოს მძღოლს

ბალანშვილს ვალიკო მოსეს-ძეს — წნორის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს

ბოლოთაევს ანდრია დავითის-ძეს — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის ინსპექტორს.

გამიხონიას მიჰაი ჩიჩინოს-ძეს — ტყვარჩელის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს

გორგოშაძეს რევაზ სულეიმანის-ძეს — ბათუმის № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს

გრიგოლაიას გრიგოლ ყარამანის-ძეს — ზუგდიდის № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს

დანელიანს ედუარდ გარნიკის-ძეს — ბათუმის № 2659 ავტოკოლონის მძღოლს

დოლაძეს რამიზ სულეიმანის-ძეს — ბათუმის № 2655 ავტოკოლონის მძღოლს

ემნაძეს ვახტანგ რუბენის-ძეს — თბილისის № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს

ენუქაძეს ყორეს შალვას-ძეს — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის ინსპექტორს

ერშოვს სერგო არსენის-ძეს — თბილისის № 2 მსუბუქი ტექსომოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს

ვაშჩენკოს ალექსანდრე ივანეს-ძეს — თბილისის № 5 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს

ლისაჩენკოს ალექსანდრე ალექსეს-ძეს — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო სამმართველოს მძღოლს

მერაბიშვილს სერგო იოსების-ძეს — თბილისის № 2 ავტოსარემონტო ქარხნის ოსტატს

მთვარელიძეს შოთა არჩილის-ძეს — გორის № 2

თბილისში გრძელდება რუსული მუსიკის ფესტივალი. კვირას 31 ოქტომბერს, ფილარმონიის დიდ დარბაზის სცენაზე გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის ბიუნების გუნდი (ხელმძღვანელი სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. სვეშნიკოვი), ჭ. გორის ქალიშვილთა გუნდი, ჭ. თელავის მუსიკალური სასწავლებლის გუნდი, ჭ. თბილისის სკოლა-ინტერნატის გუნდი. სურათებზე: ზემოთ გამოდის ჭ. მოსკოვის ყმაწვილების გუნდი; ქვემოთ — მღერის თელავის მუსიკალური სასწავლებლის გუნდი.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

სატირული ოპერის მაცხვილი

დ. შოსტაკოვიჩის ოპერა „ცხვირი“ — კამერული თეატრის სპექტაკლი

მოსკოვის კამერულმა მუსიკალურმა თეატრმა ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე წარმოადგინა დ. შოსტაკოვიჩის ოპერა „ცხვირი“.

თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ხელოვანის შემოქმედებას არასოდეს მოუკლებია ყურადღება ქართველი მსმენელისაგან, მაგრამ თბილისელები განსაკუთრებული ინტერესით მოელოდნენ ამ სპექტაკლს. შოსტაკოვიჩის თხზულების პირველი მოსმენა თავისთავად ღირსშესანიშნავი მოვლენაა, მაგრამ ინტერესს ისიც აღვივებდა, რომ საქმე იმ ნაწარმოებს ეხებოდა, სცენური სიფაცხლის უფლება წინააღმდეგობრივ აზრთა ვიდილში რომ მოიპოვა.

თანამედროვეობის ძმაფრი შეგრძნების უნარმა, რაც საერთოდ გამოარჩევს დ. შოსტაკოვიჩის შემოქმედებას, მკვეთრად იჩინა თავი გოგოლის სატირული მოთხრობის მიხედვით დაწერილ მის პირველ ოპერაშიც. ეს უპირველესად ტრადიციული მუსიკალურ-სამეტყველო ენისა და ფორმების, მუსიკალური აზროვნების ჩვეული ნორმების მოურიდებელი რღვევით გამოიხატა. ამასთან, საოპერო ესთეტიკის დამკვიდრებულ იდეურ-მხატვრულ კონცეფციებს ახალგაზრდა კომპოზიტორმა თამამად დაუპირისპირა სატირა, გროტესკი, რომლის მუსიკალური განხორციელება მკაცრ, შეულამაზებელ რეალიზმამდე დაიყვანა. ოპერა „ცხვირი“ იმთავითვე გამოიკვეთა მკაცრ ავტორის პიროვნულ-მოქალაქეობრივი მრწამსი, რომლის ერთგული დარჩა იგი მთელი თავისი შემოქმედებითი გზის მანძილზე.

ოპერა „ცხვირის“ სიუჟეტი სატირულია. იგი მიმართულია ბრიყვული თვითკმაყოფილების, მეშჩანობის, სულიერი სიღატაკისა და, საერთოდ, ადამიანის ბუნების მანკიერი მხარეების ყოველგვარი გამოვლინის წინააღმდეგ. შოსტაკოვიჩის ოპერა, ისევე, როგორც მისი პირველი ნაყარო, არც დღეს ჰკარგავს თანამედროვე რეობას, თუმცა მოქმედება მე-19 საუკუნის პეტერბურგში მიმდინარეობს.

შოსტაკოვიჩის ოპერა „ცხვირის“ სხვა ღირსებასთან ერთად, ალბათ, ამ მოსაზრებამაც განსაზღვრა მოსკოვის კამერული მუსიკალური თეატრის არჩევანი, როგორც ეს ოპერა ეკისრება. მათი ენა რეჩიტატიულია და ზედმიწევნით ესადაგება პერსონაჟთა ბუნებას. გარდა ამისა, თვით რეჩიტატივები, მოულოდნელი მელოდიური ქცევებისა და რთული რიტმულ-ჰარმონიული წყობის გამო დიდ სიძნელეებს უქმნის შემსრულებლებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დაძაბული და ამავე დროს ყველაზე საინტერესოა უბნის ზედამხედველის პარტია, რომელიც კაცის უმაღლეს ხმას — ტენორ-ალტს ეკისრება. მით უფრო საგულისხმოა, რომ ეს ამოცანა დასძლია მსახიობმა ბ. ტარხოვმა, რომელმაც სპექტაკლში ერთ-ერთი ყველაზე დასახსომებელი სახე შექმნა.

ოპერას, თუმცა იგი კამერულია, გმირთა მრავალრიცხოვნება ახასიათებს, ამათგან მთავარია მაიორ კოვალოვი (სოლისტი ე. აკიმოვი), რომლის უჩვეულო თავგადასავალი ოპერის სიუჟეტის მთავარი ღერძია. კადრების მონაცვლეობის პრინციპით აგებული მუსიკალური დრამატურგია განვითარების ერთიანი ხაზით არის შეკრული. ამ მთლიანობის კიდევ მეტ განმტკიცებას ისახავდნენ მიზნად ბ. პოკროვსკი — ნ. კუზნეცოვი რეჟისორულ გადაწყვეტაში — ოპერის 10 სურათი სამი მოქმედების ნაცვლად ორ მოქმედებად არის გაერთიანებული. სპექტაკლის რეჟისურაში დასმული მახვილები რელიეფურად წარმოაჩენს შოსტაკოვიჩის მუსიკის გროტესკულ არსს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით სარწმუნოა უბნის ზედამხედველის გამოსვლა, დალაქის (მსახიობი ვ. ბელიხი) მიერ ცხვირის გადაგდების მცდელობა. ეკლესიის სცენები და „საგზაფთო ექსპედიციის“ სცენა სპექტაკლში მკაფიოდ არის გადაწყვეტილი. მსახიობი ე. აკიმოვი ყველაზე მეტ შინაგან დამაჯერებლობას ამ ეპიზოდში აღწევს. ოპერის სოლო პარტიები, როგორც აღვნიშნეთ, რეჩიტატიულია. გამონაკლისი არც ცხვირის ეოკალური პარტიაა. მაგრამ, სხვათა „სწრაფსალაპარაკო“ მანერისაგან განსხვავებით იგი ეპიკურად ღიღი და თავდაჭერილია — ასეთად წარმოგვიდგება ეს სატირულ-ფანტასტიკური პერსონაჟი მსახიობ ნ. კურპეს შესრულებით.

სპექტაკლის მრავალრიცხოვან მონაწილეთაგან ყურადღება მიიქციეს აგრეთვე დედა-შვილმა პოდტოჩანებმა (მსახიობები ნ. ანისიმოვა და ლ. უკოლოვა) როგორც სცენური სახიერების, ისე ეოკალური შემსრულებლობის თვალსაზრისით.

მოსკოვის კამერული მუსიკალური თეატრის სპექტაკლ „ცხვირში“ ყურადღება მიიქცია აგრეთვე მასობრივმა სცენებმა. თავად ოპერა ისეა ჩაფიქრებული, რომ ერთი და იგივე მსახიობს შესაძლებლობა ეძლევა ერთდროულად სამი-ოთხი სახე შექმნას. სცენაზე განუწყვეტლივ ეხეიბოდა თითქმის ყველას. ისინი საერთო ატმოსფეროს ქმნიან, მეტნაკლები აქტიურობით ებმებიან სცენურ მოქმედებაში და, ცალკეულ მომენტებში კიდევაც წარმართავენ მას.

რუსუდან ფურფუმია,
მუსიკისმცოდნე.

კომპოზიტორის უკვდავება

ბორჯომში გაიხსნა პ. ი. ჩაიკოვსკის ძეგლი

„აი უკვე ორი კვირაა ბორჯომში ვარ. გეტყვით, ეს ერთ-ერთი ყველაზე თვალწარმტაცი ადგილია, რომელიც კი ოდესმე მინახავს. მგონია, ეს ერთ-ერთი ყველაზე ღვთაებრივი და ჩინებული ადგილია ქვეყნად“ — წერდა 90 წლის წინათ ერთ-ერთ თავის წერილში დიდი რუსი კომპოზიტორი პ. ი. ჩაიკოვსკი, რომელიც ბორჯომში ჩამოვიდა. აქ შექმნა კომპოზიტორმა თავისი ცნობილი საგუნდო ნაწარმოები „ოქროს ღრუბელმა ღამე ათია“.

სიმბოლურია, რომ სწორედ საქართველოში რუსული მუსიკის ფესტივალის დღეებში ბორჯომში გაიხსნა პეტრე ილიას-ძე ჩაიკოვსკის ძეგლი, რომლის უკვდავი მუსიკა დღეს ფესტივალის კონცერტებზე ჟღერს. 31 ოქტომბერს ქალაქ-კურორტის მუსიკალური სკოლის სკვერში მიტინგზე, რომელიც საქართველოში რუსული მუსიკის ფესტივალის ამ მთავარ მოვლენას მიეძღვნა, შეიკრიბნენ სტუმრები, ბორჯომისა და მეზობელი რაიონების საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მიტინგი გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდნენ: რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ა. ფრიალკოვსკი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ბალანჩივაძე, მხატვართა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ნ. ჯანბერიძე, სანატორიუმ „ლიკანის“ ექიმი ნ. ოსეფაშვილი, ბორჯომის მუსიკალური სასწავლებლის მესამე კურსის სტუდენტი ვ. კაპანაძე.

ძეგლზე თეთრი საბურველი ჩამოცურდა. შეკრებილთა წინაშე წარმოსდგა კომპოზიტორის ბრინჯაოს ფიგურა. ქანდაკების ავტორია საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი თ. ღვინიაშვილი, არქიტექტორები—კ. ნახუცრიშვილი და ფ. აბულაძე.



პ. ი. ჩაიკოვსკის ძეგლის გახსნას ესწრებოდნენ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი აკადემიკოსი ბ. პეტროვსკი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია, და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ა. ალექსიძე. (საქინფორმი).

სურათზე: დიდი რუსი კომპოზიტორის პეტრე ილიას-ძე ჩაიკოვსკის ძეგლის გახსნა ბორჯომში.

ვ. სოკოლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ
ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲨᲘ

ფესტივალის კვიჩა

სად რას მოვისმენთ

დღეს, 2 ნოემბერს დიდ საკონცერტო დარბაზში პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის ციკლიდან — „ახალგაზრდა მუშის ფილარმონია“ — გაიმართება მოსკოვის ბიუნების გუნდის კონცერტი, გამოვა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. მუსიკალური კომედიის თეატრში მოსკოვის კამერული მუსიკალური თეატრის სპექტაკლი — „პიკის ქალი“ (პრემიერა), მეტეხის თეატრის შენობაში — იურლოვის სახელობის საგუნდო კაპელა.

საქართველოში რუსული მუსიკის ფესტივალი ტემპს იკრებს. ამ დღეებში რუსული მუსიკა ჟღერს საკონცერტო დარბაზებში. უკვე გაიმართა კამერული, საგუნდო და სიმფონიური მუსიკის კონცერტები. თბილისელები უდიდეს ინტერესს იჩენენ რუსი კომპოზიტორების შემოქმედებისადმი, სოლისტების საშემსრულებლო ოსტატობისადმი.

საინფორმის კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა ფესტივალის ზოგიერთ მონაწილეს.

პ. ვოლკოვი — კომპოზიტორი: საქართველოში რუსული მუსიკის ფესტივალის უდიდესი მნიშვნელობა ის არის, რომ ჩვენ, მომავე რესპუბლიკების კომპოზიტორები, რომლებსაც ბევრი საერთო პრობლემა, ბევრი საერთო ამოცანა გვაქვს, ამ დღეებში ვცდილობთ ერთად გადაწყვეტოთ ისინი.

ფესტივალი — ეს არის კულტურული ცხოვრების ყველა დარგში ერთიანობისა და ძმობის გამოვლინება. იგი შესაძლებლობას გვაძლევს გავეცნოთ ბევრ ახალ თხზულებას და, რაც, ჩემი აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანია, შევხვდეთ ჩვენს კოლეგებს. ქართულ მუსიკას დიდი ხანია ვიცნობ.

დ. ფერშტმანი — გლინკას სახელობის სახელმწიფო კვარტეტის ვიოლონჩელისტი: ძნელია გადაჭარბებით შეაფასო საქართველოში რუსული მუსიკის ფესტივალის მნიშვნელობა. ეს საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ძმობის დემონსტრაციაა.

ამ დღეებში თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში რუსული ჰანგები გაისმის. ჩემი აზრით, ფესტივალის მნიშვნელობა ისიც არის, რომ იგი პროპაგანდა და პოპულარიზაციას უწევს საბჭოთა კომპოზიტორების ახალ ნაწარმოებებს.

1 ნოემბერს საქართველოში რუსული მუსიკის ფესტივალის მონაწილენი ესტუმრნენ მესხეთს, ახალციხეს, შეხვდნენ თვითმოქმედების კოლექტივებს და მშრომელებს.

ფაქტები, პროგლემები

საკადესი და უცხოეთის პრესის საკვანძო ინფორმაციის ბიულეტენი

კლასობრივი ბრძოლები

კაპიტალის ქვეყნებში

ბრიუსელი. მესამე კვირაა, რაც ბელგიის ქალაქ ოსტოკამში „სიმენსის“ ქარხნების მუშები და მოსამსახურეები განაგრძობენ მედგარ ბრძოლას დასაქმებულობის დასაცავად. მშრომელნი პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ ადმინისტრაციას გადაწყვეტილი აქვს დაითხოვოს 600-ზე მეტი მუშა.

შარლეტუაში კომუნისტების ხელმძღვანელობით ჩატარდა მეტალურგიული ქარხნების მუშათა დემონსტრაცია. ისინი პროტესტს აცხადებენ მეწარმეთა თვითნებობის წინააღმდეგ, რომლებიც უსახსრობის საბაბით აპირებენ დაარღვიონ კოლექტიური ხელშეკრულებანი და მელითონეთა დიდი ჯგუფი გადაიყვანონ არასრულ სამუშაო კვირაზე, თან შესაბამისად შეიმცირონ ხელფასი.

ქალაქ ნიველში მთელი რიგი სამრეწველო საწარმოების 600-მდე მუშამ მთელი დღით შეწყვიტა მუშაობა იმის გამო, რომ საწარმოს პატრონები აპირებენ შეკვეცონ წარმოება და დაითხოვონ მუშები.

რომი. გაფიცვა გამოაცხადეს იტალიის ქალაქ გენუის გაზეთ „ლავორო ხუოვოს“ სტამბის მუშებმა და ჟურნალისტებმა. გაზეთის თანამშრომლებს უკვე სამი თვეა არ მიუღიათ ხელფასი და დათხოვნა მოელით იმასთან დაკავშირებით, რომ განზრახულია გაზეთის დახურვა. გაფიცულნი გამოდიან თავიანთი შრომის უფლების დასაცავად, მოითხოვენ საუწრაფო ღონისძიებების მიღებას მწვავე კრიზისის დასაძლევად, რომელმაც იტალიის პეროლდული პრესა მოიცვა.

მადრიდი. სულ უფრო ფართოვდება ქალაქის ტრანსპორტის მძღოლთა და ტექნიკური პერსონალის გაფიცვა, რომელიც რამდენიმე დღეა მიმდინარეობს მადრიდში. ადმინისტრაცია უარს ამბობს დიაწყოს მოლაპარაკება გაფიცულებთან. მშრომელებმა მოლაპარაკებისათვის ძირითად პირობად წამოაყენეს გაფიცვაში მონაწილეობის გამო დათხოვნილი ამხანაგების სამუშაოზე აღდგენა, დაპატიმრებული მძღოლებისა და მათი ოჯახის წევრების განთავისუფლება, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ საპროტესტო მანიფესტაციებში.

იმ პროფკავშირთა წარმომადგენლებმა, რომლებიც აერთიანებენ დედაქალაქის მეტროს მუშებსა და მოსამსახურეებს, ტაქსისტებს, რკინიგზელებს, აგრეთვე საავიაციო კომპანია „ავიაცის“ მუშაკებს, რომელიც მომსახურებას უწევს შიდა ხაზებს, ადმინისტრაცია გააფრთხილეს, რომ, თუ წამოჭრილი კონფლიქტი უახლოეს დღეებში არ გადაიჭრა, ისინიც გაფიცვას გამოაცხადებენ.

ათენი. გამარჯვებით დამთავრდა საბერძნეთის ქალაქ ნარისის 2000 ფეიქრის გაფიცვა. მედგარი ბრძოლის შედეგად მათ მიაღწიეს ხელფასის მომატებასა და ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადებას.

როგორც ფეიქართა პროფკავშირის წარმომადგენლებმა განაცხადეს, გამარჯვება შესაძლებელი გახდა გაფიცულთა ერთიანობისა და შეკავშირების შედეგად. (საკადესი).

საკადესი

ტელეტაიპის ლენტიდან

მეგობრობის საერთაშორისო ცენტრი

● **ბელგრადი.** გადაწყდა ბელგრადში აშენდეს მეგობრობის საერთაშორისო ცენტრი. ეს ჰექტარზე მეტ ფართობზე განლაგდება საკონცერტო და საგამოფენო დარბაზები, თეატრები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები. ახალი ცენტრი აშენდება სავის მარჯვენა ნაპირზე. იგი დაკავშირებული იქნება მდინარის მეორე ნაპირთან, სადაც ახლა შენდება კონგრესთა სასახლის შენობა, საქვეითო ხიდი.

მასობრივი დემონსტრაცია

● **რომი.** მშრომელთა მასობრივი დემონსტრაცია გაიმართა ტურინში — იტალიის ერთ-ერთ უდიდეს ინდუსტრიულ ცენტრში. დემონსტრაციის მონაწილეებმა ხელისუფალთ მოსთხოვეს იხმაროს ქმედითი ღონისძიებანი მწვავე ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისის დასაძლევად, რომელმაც ქვეყანა მოიცვა.

იყიდება... ქალაქი

● **ნიუ-იორკი.** კალიფორნიის პატარა ქალაქ პარმონს შეერთებული შტატების ყოველ რუკაზე რომდი ამოვიღო. მიუხედავად ამისა, მისი სახელწოდება ქვეყნის ბევრი გაზეთის ფურცლებზე მოხვდა. და არც გასაკვირია: შეერთებულ შტატებშიც კი, სადაც ყველაფერს ყიდიან და ყიდულობენ, იშვიათია, რომ მთელი ქალაქი საჯარო ვაჭრობით იყიდებოდეს.

მისმა მფლობელებმა, უჯრავი ქონებით მოვაჭრეებმა პ. ფოლდმა და რ. კეს-პერმა გამოაცხადეს, რომ იყიდება ეს ხაკურორტო დასახლებული პუნქტი, რომელიც ტურისტებს იზიდავს თვალწარმტაცი ხაოკეანო პეიზაჟით და სახელწოდებითაც კი (ინგლისურად იგი ნიშნავს ჰარმონიას). მათ გამოაცხადეს აუქციონი შემდეგი პირობით: მზად არიან „დაუთმონ“ ქალაქი მთელი შენობებით, რომლებშიც შედის ორი კაფე, სამი მაღაზია, ფოსტამტი 375-ათას დოლარად.

სტუმრად ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚ მᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

გლაზგო, (საკადესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის მეთაურობით იმყოფება დიდ ბრიტანეთში, ეწვია გლაზგოს პროფკავშირულ ცენტრს. აქ იგი შეხვდა მუშებს, ამქრების უსტაბასებს, ლეიბორისტული პარტიისა და პროფკავშირების ძირეული ორგანიზაციების აქტივისტებს.

შეკრებილთა წინაშე გამოსულისას ბ. ნ. პონომარიოვმა ილაპარაკა საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და შრომაზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკაზე.

გულთბილად, მეგობრულად მიესალმნენ დელეგაციის წევრებს შოტლანდიის ლეიბორისტული და პროფკავშირული მოძრაობის წარმომადგენლები. ჩვენ გულწრფელი სიხარულით ვმასპინძლობთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას, თქვა შოტლანდიის ტრედ-უნიონთა კონგრესის თავმჯდომარემ ჰ. დარსიმ. სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობის ურთულეს ხანაშიც კი შოტლანდიის პროფკავშირებს არასდროს არ გაუწყვეტიათ ურთიერთობა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების პროფკავშირებთან.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ



მეგობრობის არხი

ᲔᲠᲐᲥᲘᲨᲘ დამთავრდა ხაირიგაციო კომპლექსის პირველი რიგის მშენებლობა, რომელშიც შედის 37,5 კილომეტრი სიგრძის ტარტარ-ევფრატის არხი და კაშხალი ტარტარის ტბაზე.

მიწის სამუშაოების საერთო მოცულობამ, რომელიც არხისა და კაშხალის მშენებლობაზე საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით ხორციელდებოდა, 56 მილიონი კუბური მეტრი შეადგინა.

ტარტარ-ევფრატის არხი იმ ნაგებობათა კომპლექსის ნაწილია, რომლის მეშვეობით გაიზრდება მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის წყალმომარაგება.

სურათზე: არხის ხაზეიმო გახსნის ცერემონია.

საკადესის ფოტო.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

პეკინი, 1 ნოემბერი. (საკადესი). ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე ჰუ გო-ფენის დადგომის მხარდასაჭერად მასობრივი დემონსტრაციებისა და მიტინგების, „ოთხთა დაჯგუფების“ — ვან ჰუნ-ვენის, ჯან ჩუნ-ციაოს, ძიან ცინისა და იაო ვენ-იუანის კრიტიკის შემდეგ ახლა კრებები იმართება საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებსა და სახალხო კომუნებში. მათ მთავარ ადგილს უთმობს ჩინეთის პრესა.

„ჟენმინ ჟიბაოს“, „ჰუნ-ცისა“ და „ძიფანძუნ ბაოს“ ერთობლივი სარედაქციო სტატია შეიცავს მოწოდებას „ბოლომდე გამოავლინონ ვან-ჯან-ძიან-იაოს დაჯგუფების აღმაშფოთებელი დანაშაულობანი, გაღრმაონ კონტრრევოლუციური რევიზიონისტური გეზის კრიტიკა, აღმოფხვრან მისი „დამღუპველი გავლენა“. აღნიშნავენ, რომ ეს „ოთხეული“ მიმართავდა „დანაშაულებრივ საქმიანობას, რათა გაეთიშა პარტია, ყველაფერს თავის ყაიდაზე განმარტავდა და, შექმნა რა პარტიაში თავისი სისტემა, რაც მოეპრიანებოდა იმას შვრებოდა, დაუსჯელად თარეშობდა და თვითნებობდა, ცენტრალურ კომიტეტზე მაღლა აყენებდა თავის თავს“ იმ ბრალდებათა შორის, რომლებიც ადასტურებს დასკვნას, რომ ჩინეთის ხელმძღვანელობაში უკანასკნელი წლების მანძილზე ცხარე ბრძოლა მიმდინარეობდა, სტატია შეიცავს იმ ფაქტის აღიარებას, რომ „ოთხთა დაჯგუფება“ პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდებას აპირებდა, რისთვისაც „ყალბ ბრალდებებს იგონებდა“, რათა „რაც შეიძლება მეტი ხელმძღვანელი პარტიული, მთავრობისა და სამხედრო მუშაკი მოეშორებინა თავიდან“.

შანდუნის პროვინციის რევკომის ორგანომ, გაზეთმა „და ჯუნ ჯიბაომ“ სარედაქციო სტატიაში მოიყვანა „შეთქმულების დაწვრილებითი ცნობები, რომლებიც დღემდე ოფიციალურად არ გამქვეყნებულა“. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ვან ჰუნ-ვენი და ძიან ცინი ცდილობდნენ შეექმნათ თავიანთი „კაბინეტი“, რისთვისაც იყენებდნენ პარტიის მეათე მოწვევის ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმს და სრულიად ჩინეთის მეოთხე მოწვევის სახალხო წარმომადგენლთა კრების სესიას. ჯოუ ენ-ლაის გარდაცვალების შემდეგ ისინი წინააღუდგნენ პრემიერის მოვალეობის შემსრულებლად ჰუ გო-ფენის დანიშვნის წინადადებას, „უაღრესად უკმაყოფილონი“ იყვნენ აგრეთვე წინადადებით, რომ ჰუ გო-ფენი პარტიის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დაენიშნათ აპრილში დენ სიაოპინის გადაყენების შემდეგ. როცა მაო სიკვდილის პირს იყო, მათ, როგორც გაზეთი ამტკიცებს, შეთითხნეს მაო ძე-დუნის ეგრეთ წოდებული უკანასკნელი ანდერძი, რათა ხელთ ეგდოთ ძალაუფლება.

„ოთხეულის“ კრიტიკისათვის ფართოდ იყენებენ კიდლის პლაკატებსა (დაძახებებს) და ფურცლებს. უკანასკნელი დაძახებაა თანახმად, შეთქმულთა საქმიანობის გამოსაძიებლად ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც მეთაურობს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, თავდაცვის მინისტრი ე ძიან-ინი.

ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით შანხაიში პარტიის ყველა პოსტიდან და თანამდებობიდან მოხსნილი არიან ჩინეთის კომპარტიის შანხაის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ქალაქის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე ჯან ჩუნ-ციაო და ამ ქალაქის სხვა ხელმძღვანელები. როგორც ცნობილია, შანხაი „ოთხთა ჯგუფის“ საქმიანობის დასაყრდენი პუნქტი იყო. შანხაის საქალაქო კომიტეტის ახალი პირველი მდივანი გახდა სუ ჯენ-ჰუა.

ჩინეთის პრესის ბევრ მასალაში ჯერ კიდევ მეორდება ანტისაბჭოური გამოხდომები, ხოლო საშინაო საკითხებზე სტატიებში — ზოგიერთი ლოზუნგი, რომლებსაც უკანასკნელი წლების მანძილზე უწევენ პროპაგანდას.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

რასისტები და მათი დამცველები

ᲣᲡᲣᲚᲐᲓ 30 წლის წინათ, 1946 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველმა სესიამ ინდოეთის წინადადებით განიხილა საკითხი სეგრეგაციისა სამხრეთ აფრიკაში. რომელმაც შემდეგ „აპარტეიდის“ სახელწოდება მიიღო.

გენერალური ასამბლეიდან დაბრუნების შემდეგ, სამხრეთ აფრიკის იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ფელდმარშალმა სმუტმა, რომელსაც ასამბლეის „უშუალობის პერიოდში მისთვის არასასიამოვნო მრავალ შეკითხვებზე მოუხდა პასუხის გაცემა, გააკეთა თავისი ცნობილი განცხადება — „სეგრეგაცია მძიმე დღეებს განიცდის“. რასისტ ფელდმარშალის ამ სიჯარო განცხადებამ საფუძველი დაუდო მითს, რომ ‘ახლო მომავალში სამხრეთაფრიკის კავშირში (როგორც იმ დროს ეწოდებოდა დღევანდელ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას) ბოლო მოეღებოდა რასობრივ პრინციპზე და კანის ფერზე დაფუძნებულ ოფიციალურ დისკრიმინაციას.

... მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა როგორც მთელ მსოფლიოში, ისე აფრიკის კონტინენტზეც, უცვლელი მხოლოდ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის მმართველობის რასისტული პრინციპები დარჩა, რომლებიც ნაციონალისტური პარტიის მმართველობის პერიოდში ეიდვე უფრო „დაიხვეწა“ და თეორიულად და პრაქტიკულად „გამდიდრდა“. რამდენიმე ათეული წელია, რაც აპარატიდის ყველა „სიკეთით“ სარგებლობს საღღეისოდ ყველაზე დიდი კოლონიაც — ნამიბია, რომელიც ჯერ კიდევ ერთა ლიგის მანდატით ვადაეცა სამხრეთ აფრიკის კავშირს. მანდატი სამხრეთ-აფრიკის კავშირის თავრობას ავალებდა „ყოველმხრივ შეეწყო ხელი სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის (ნამიბიის) მკვიდრთა სულიერი განვითარებისა და სოციალური პროგრესისათვის“. სამხრეთაფრიკელი რასისტები რომ ზემოხსენებულ დებულებას უგულებელყოფენ, ამას მოწმობს ის 94 რეზოლუცია, რომელიც მარტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კედლებში იქნა მიღებული ნამიბიის საკითხთან დაკავშირებით.

რასაკვირველია, პროგრესულ ადამიანებობას ასე არ გაუძელდებოდა თავაშეებული რასისტების „მოთოკვა“ მათი გავლენიანი დამცველები რომ არა. 1974 წლის ოქტომბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მორიგ სესიაზე, როდესაც დღის წესრიგში დადგა ორგანიზაციიდან სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმის გარიცხვის საკითხი, ინგლისის, საფრანგეთისა და აშშ-ის წარმომადგენლებმა სასწრაფოდ ვეტო დაადეს რეზოლუციის პროექტს.

ამ რამდენიმე დღის წინათ ზემოხსენებული სახელმწიფოები კვლავ მოგვეელინენ რასისტთა დამცველებად — მათმა ვეტომ ამჯერადაც იხსნა რეჟიმი, თუმცა ადრე სამივე სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ხმა მისცეს რეზოლუციას, რომელიც ფორსტერის მთავრობას ავალებდა მომდინარე წლის 31 აგვისტოსათვის უზრუნველყო ნამიბიელი ხალხის სრული დამოუკიდებლობა.

მაინც რას წარმოადგენს ნამიბია? რატომ ვერ ელევა მას ფორსტერი და რატომ იცავენ მას ასე ხელაღებით მსოფლიოს წამყვანი კაპიტალისტური სახელმწიფოები? წიაღისეულით ნამიბია ერთ-ერთი უმდიდრესია მთელ მსოფლიოში. მხოლოდ ალმასის მოპოვება წელიწადში 3 მილიონ კარატს შეადგენს (მეორე ადგილი მსოფლიოში). თუ ამ ფაქტს იმასაც დავუმატებთ, რომ ამ კოლოსალური რაოდენობიდან 95 პროცენტი საუკეთესო ალმასია, რაც გეომეტრიული პროგრესიით ზრდის მის ღირებულებას, ადვილად ასახსნელი იქნება ფორსტერის სიჯიუტე. ნამიბიაშია მთელ მსოფლიოში განთქმული პოლიმეტალებისა და იშვიათ წიაღისეულთა ცუმების საბადო. კალიფორნიელ მილიარდერს სტენდი მორგანს ეკუთვნის „ცუმებ კორპორეიშენ“, რომელიც ყოველწლიურად 100 ათას ტონა ტყვიას, 50 ათას ტონა სპილენძს, 10 ათას ტონა კალას, ათასობით ტონა ისეთ იშვიათ წიაღისეულს ამუშავებს, როგორიც კალიუმი, გერმანიუმი, ლითიუმი და ვოლფრამია. 1975 წელს კორპორაციის მოგებამ 70-ჯერ გადაჭარბა დაბანდებულ კაპიტალს.

უცხოეთის კომპანიები ნამიბიაში არა მხოლოდ წინდა მდგების რეკორდებს ამყარებენ, მათივ ეკუთვნით აფრიკელთა ექსპლოატაციის რეკორდებიც. დასავლელი ეკონომისტების გამოანგარიშებით ნამიბიის ეროვნული შემოსავალი იქ მცხოვრებ 7 მილიონ აფრიკელზე თანაბრად რომ გადანაწილდეს, მათი ცხოვრების დონე მსოფლიოში სარეკორდო დონეს მიაღწევდა. ეს თეორიულად, პრაქტიკაში კი ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ბატონ-პატრონი 80 ათასი თეთრკანიანია.

სამხრეთ აფრიკის განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთმა გამოჩენილმა ლიდერმა ნელსონ მანდელამ თავის უკანასკნელ წიგნს ასე უწოდა — „ეკლიანია თავისუფლების გზა“, მაგრამ მსოფლიოს განვითარების ისტორიული პროცესი მუდამ სძლევდა ნებისმიერ ბარიერს და მის მიმართ ნებისმიერი „ვეტოც“ უძლურია.

ხ. ცინცაძე.



შემოქმედებითი შეხვედრები გრძელდება

შვილობა ის არის, რომ ჩვენ, მომავე რესპუბლიკების კომპოზიტორები, რომლებსაც ბევრი საერთო პრობლემა, ბევრი საერთო ამოცანა გვაქვს, ამ დღეებში ვცდილობთ ერთად გადაწყვეტოთ ისინი.

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ლენინური კომკავშირის დაბადების დღის აღსანიშნავად



ზეიმი ქვეყნის სიდიდით

საზეიმოდ გამოიყურებოდა 31 ოქტომბერს წითელი ხიდის მიდამოები, სადაც ერთმანეთს კვეთს სამი მოძმე რესპუბლიკის — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრები.

აქ თავი მოიყარეს მშრომელთა წარმომადგენლებმა — მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მოწინავეებმა. ტრადიციული საზეიმო მიტინგი მიეძღვნა ლენინური კომკავშირის დაბადების დღეს. სურათებზე: ზეიმის დროს.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჟურნალების ახალი ნომრები

□

„საქართველოს აგიტატორი“ № 20

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, მეოცე ნომერი.

□

„საქართველოს სოფლის მეურნეობა“ № 10

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიურ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მორიგი, მეათე ნომერი.

□

„საბჭოთა ხელოვნება“ № 10

გამოვიდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მეათე ნომერი. იგი იხსნება გრცელი მოწინავე წერილით „წარმატებაც, პასუხისმგებლობაც“.

□

„საბჭოთა მედიცინა“ № 5

გამოვიდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორთვიურ ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ მორიგი, მეხუთე ნომერი.

წინასაღდეგომოსაგზაურო ვაჭრობა

ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავი. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოსა [illegible] ... ქალაქის ... ინფორმის კორესპონდენტს ჰკითხა, თუ როგორ არის ორგანიზებული წინასაღდესასწაული ვაჭრობა თბილისის მაღაზიებში.

ვაჭრობის მუშაკები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა თბილისელებმა და ქალაქის სტუმრებმა დროის მინიმალური დანახარჯებით შეძლონ საჭირო სურსათისა და საქონლის ყიდვა მაღაზიებში, საკოლმეურნეო ბაზრებში, გაყიდვა-გამოფენებზე, შინ მისატანად შეუკვეთონ საქონელი შეკვეთების მაგიდებს.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოში წინასაღდესასწაულო ვაჭრობის უკეთ ორგანიზაციისათვის შეიქმნა ოპერატიული შტაბი. ქალაქის თვითეულ რაიონზე მიმაგრებული არიან სამმართველოს განყოფილებათა გამგეები, ტრესტების ხელმძღვანელი მუშაკები.

წინასაღდესასწაულო დღეებში მაღაზიები უფრო ხანგრძლივად იმუშავებენ. ნახევარფაბრიკატებისა და კულინარიის მაღაზიები, საოჯახო სამზარეულოები უფრო ფართო ასორტიმენტით გამოუშვებენ თავიანთ ნაწარმს, 5 და 6 ნოემბერს 12-დან 22 საათამდე საზოგადოებრივი კვების საწარმოებში მოეწყობა მზა კულინარიული ნაწარმის [illegible] ... ვაჭრობისა [illegible] ... ბა. განსაკუთრებული [illegible] ... ბა ... ახალი საცხობრიული მასივებისა და მიკრორაიონების მომარაგებას. გლდანისა და ვარკეთილის მასივებში, თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის დაბაში ფართოდ იწარმოებს დატარებითი ვაჭრობა.

რიგების თავიდან ასაცილებლად და მომხმარებელთათვის მაქსიმალური ხელშეწყობის მიზნით ქალაქის ვაჭრობის სამმართველომ გადაწყვიტა მეტ წილ მაღაზიებში საქონელი გარეთ გამოიტანოს გასაყიდად.

ყოველღიურად რესპუბლიკის და ქალაქის სავაჭრო ქსელი მიიღებს სხვადასხვა სასურსათო საქონელსა: 110 ტონაზე მეტ ხორცს, 15 ტონა ხორცის ნახევარფაბრიკატებს, 47 ტონა ფრინველის ხორცს, 13 ტონა ახალ თევზსა და 15 ტონა გაბოლილ — გამოყვანილ თევზს, 45 ტონა ძეხვეულს, 400 ათას ცალ კვერცხს, 60 ტონა ხილს. ყოველდღე გაიყიდება 300 ათასი ბოთლი ლიმონათი, დაახლოებით 50 ტონა საკონდიტრო ნაწარმი.

ვაჭრობის სამმართველომ განახორციელა ღონისძიებანი, რათა მაღაზიები უზრუნველყოს საჩუქრებისა და სუვენირების ფართო ასორტიმენტით.

„შუშანიკის წამების“ 1500 წლისთავისათვის

1978 წელს აღინიშნება 1500 წელი, რაც შეიქმნა ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ლიტერატურული ძეგლი „წამებაი წმიდისა შუშანიკისი“. ამ ნაწარმოებში, რომელიც იაკობ ცურტაველს დაუწერია 476-483 წლებს შუა, ასახულია ბრძოლა ეროვნული და სახელმწიფო დამოუკიდებლობისათვის, ჭალის უუფლებობის წინააღმდეგ, ოჯახის სიწმინდისათვის. „შუშანიკის წამება“ ჩვენი ხალხის მაღალი ინტერნაციონალური სულისკვეთებისა და მისი ლიტერატურის, კერძოდ ქართველი და სომეხი ერების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის დოკუმენტია.

„შუშანიკის წამება“ ადასტურებს, რომ V საუკუნეში ქართული ენა დიდად განვითარებული ლიტერატურული ენა იყო, რომელიც წიგნიერ მწერლობის დიდი ხნის ტრადიციებს ემყარებოდა. მიგვიჩნია, რომ დღეისათვის ჩვენამდე არ მოღწეულია უფრო ადრინდელ ნაწარმოებებს, ამ ძეგლის 1500 წლისთავი ქართული მხატვრული ლიტერატურის 1500 წლისთავადაც ითვლება.

„შუშანიკის წამების“ 1500 წლისთავის აღსანიშნავად შეიქმნა საიუბილეო კომისია, რომელშიც ცხობილი მწერლები და მეცნიერები შეგიდნენ. (საქინფორმი).

□

ზეიმი მაღაროში

სიღნაღი. სოფ. მაღაროს ს. დოდაშვილის სახელობის საშუალო სკოლის ეზოში გაიმართა დიდი ქართველი მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის სოლომონ დოდაშვილის ხსოვნის აღსანიშნავი საღღესასწაულო მიტინგი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ჭარუმიძემ.

მოხსენება ს. დოდაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე წაიკითხა რაიონული გაზეთის — „კოლმეურნის“ რედაქტორმა ლ. ბეგიაშვილმა.

სიტყვები წარმოთქვეს: მაღაროს სკოლის დირექტორმა გ. მირაშვილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა მ. დოდაშვილმა, მაღაროს კოლმეურნეობის ლენინის ორდენოსანმა მექანიზატორმა, სატოკქტორო ბრიგადის ბრიგადირმა დ. ნავროზაშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა ს. ხუციშვილმა, მ. გოცაძემ, მ. ჭელიძემ, ი. ლოლაშვილმა. მათ ყველა დამსწრის აზრი გამოხატეს — მოიწონეს საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომის ინიციატივა, რომ ყოველ წლის ოქტომბრის მესამე კვირას ს. დოდაშვილის სამშობლო სოფელში — მაღაროში მოეწყოს დიდი სახალხო ღღესასწაული — „სოლომონობა“.

ნ. შარმიაშვილი,
სიღნაღის რაიგაზეთ „კოლმეურნის“ რედაქტორის მოადგილე.

კინოდღე

გუშინ, 13 საათზე ყველგან უნალექო ამინდი იდგა. დაადავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 18-20, მთებში 14-15 გრადუსი იყო. აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 9-11, მთებში 9-12 გრადუსი აღინიშნა.

გუშინ, 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 10 გრადუსს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში უნალექო ამინდია მოსალოდნელი. რიონის ხეობაში აღმოსავლეთის ქარი იქროლებს. დაბლობ რაიონებში 18-23, მთებში 10-15 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოშიც მოსალოდნელია უნალექო ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 9-14, მთებში 5-10 გრადუსი.

თბილისში უნალექო ამინდი იქნება, ტემპერატურა — 12-14 გრადუსი.

ხვალ, 3 ნოემბერს სამივე ძირითად ევროპულ ტურნირში — ჩემპიონთა, თასების მფლობელთა და უეფას თასებზე გაიმართება საპასუხო შეხვედრები და ამრიგად, გამოირკვევა, თუ ვინ გაგრძელებს ბრძოლას შემდგომ ეტაპზე. ჩემპიონთა და თასების მფლობელთა თასისათვის ეს შემდგომი ეტაპი მეოთხედფინალი იქნება, უეფას თასისათვის კი (სადაც ორჯერ მეტი მონაწილეა) — მერვედფინალი.

როგორია სატურნირო სიტუაცია ამ გადამწყვეტი შეხვედრების წინ?

ჩემპიონთა თასის მონაწილეთაგან ერთადერთი გუნდი, რომელსაც „თავი ქუდში აქვს“, მხოლოდ და მხოლოდ კიევის „დინამო“ გახლავთ. 4:0 კიევში საბერძნეთის ჩემპიონ პაოკთან იმის სრულ გარანტიას იძლევა, რომ კიეველები შეინარჩუნებენ უპირატესობას სალონიკში და შემდეგ წრეში გავლენ. საქმე მარტო ეს წინასწარი ანგარიში რომ არ ... [illegible] ... ბის მოგებაა მათთვის უცხო ხილი. დინამოელთა ძველი თაობების წარმატებებს რომ თავი დავანებოთ, განა ახლანდელმა თაობამ არ სძლია ბელგრადის ოფკ-ს მის საკუთარ მინდორზე ანგარიშით — 5:1. მტკ კი ოფკ-ზე ძლიერი გუნდი არ გახლავთ.

3 ნოემბერს „ნეპშპადიონზე“ ძალზე თავისებური სიტუაცია იქმნება. აქ **ერთმანეთს ხვდებიან მტკ — თბილისის „დინამო“** და **„პონვედი“ — „შახტიორი“.** თუ თბილისელებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა ინახულაონონ „სამი ბურთის დეფიციტი“, ზუსტად ასეთივე ამოცანის წინაშე დგას „პონვედი“. მართალია, აქ მინდვრის ფაქტორიც მოქმედებს, მაგრამ მაინც მეტად საინტერესოა, როგორ გადაწყვეტენ ამ ამოცანას დაზარალებული გუნდები.

ახლა თასების მფლობელთა თასზე უძლიერესად ორ გუნდს ასახელებენ: ბრიუსელის „ანდერლეხტს“ და მადრიდის „ატლეტიკოს“. პირველი შეიძლება მშვიდად იყოს — მან საკუთარ მინდორზე ანგარიშით 5:1 სძლია „გალათასარაის“. ... მადრიდის „ატლეტიკო“ „ი მადრიდში „ჰაიდუკთან“ (სპლიტი) მოგების შემდეგ (1:0) არაფრით არ არის გარანტირებული.

ძლიერი შემადგენლობით გამოირჩევა **უეფას თასის** გათამაშება. ჯერჯერობით ყველა ფავორიტი გასაგრძობს ბრძოლას, თუმცა ზოგ მათგანს საპასუხო შეხვედრებში ძალების დამატება მოუხდება. მაგალითად, „მილანმა“ სოფიაში წააგო (3:4) „აკადემიკოსთან“. ასე რომ, რიეკასა და მის პარტნიორებს მილანის „სან-სიროს“ სტადიონზე უფრო აგრესიული თამაში მოუწევთ. „ეუენტუსი“ (ტურინი) მანჩესტერში დამარცხდა (0:1) ადგილობრივ „მანჩესტერ იუნაიტედთან“, თუმცა სპეციალისტთა აზრით, — ჯერ ყველაფერი წინ არის.

ერთი სიტყვით, მღელვარებით ველით 3 ნოემბერს. ამ დღეს სამივე ტურნირში მონაწილეთა რიცხვი უნდა განახევრდეს, თუმცა, ცხადია, „შემკორებაში“ მოხვედრა“ არავის სურს.

გ. გამრეკელი.

ევროპის ტურნირებზე

მოლოდინი და იმედი

— ხვალ გაიმართება მეხუთე შეხვედრები

ფეხბურთის ამბები

შესარჩევი თამაშები

ვარშავა. პოლონეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა მოიფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში (ევროპის ქვეყნების პირველი ჯგუფი) ინგლისთან 5:0 მოიგო კვიპროსის ნაკრებს. მასპინძელთა ნაკრებში დიდი ხნის შესვენების შემდეგ კვლავ ითამაშა 29 წლის თავდასხმელმა ვლოდზიმეჟ ლიუბანსკიმ, რომელიც სამი წლის წინათ ინგლისის ნაკრებთან შეხვედრაში სერიოზულად დაშავდა. გ. ლიუბანსკი პირველად 16 წლის იყო, როცა პოლონეთის ნაკრებში ითამაშა და 66 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

ანკარა. თურქეთის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაში (ევროპის ქვეყნების მესამე ჯგუფი) ჰქონდა მალტის გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 4:0.

ბაკადრკაკი

გ. სტურუა — ჩემპიონი

18 ოსტატობის კანდიდატი ეცილებოდა ერთმანეთს თბილისის ჩემპიონის წოდებას ჭადრაკში ვაჟთა შორის. ამავე დროს ეს იყო შესარჩევი შეჯიბრება ვახტანგ ქარსელაძის მემორიალისა (იწყება 5 ნოემბერს) და საქართველოს პირველობისათვის.

17 თამაშიდან 13 ქულით თბილისის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ზურაბ სტურუამ. ეს ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭადრაკის მორიგი წარმატებაა. 2-4 ადგილები 11,5 ქულით გაიყვეს ახალგაზრდა ოსტატების კანდიდატებმა დიმიტრი გეგეჭკორმა, მიხეილ ჭიკაშვილმა და ვარლამ ვეფხვიშვილმა.

რეგბი

„ლოკომოტივი“ — ფინალში

კვირას თბილისში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალური შეხვედრა რეგბიში. ადგილობრივმა „ლოკომოტივმა“ უმასპინძლა მოსკოვის „ფილის“. თბილისელებმა „ერად ითამაშეს და გამოიყვანეს ტეტოქე დაამარცხეს ანგარიშით — 9:6. მეორე ფინალისტი ამ დღეებში გამოვლინდება. ფინალური შეხვედრა გაიმართება ნოემბერში თბილისში.

კალათბურთი

საიუბილეო ტურნირი

თბილისის „დინამო“ — მეორე ადგილზე

ლენინგრადში დამთავრდა პირველი კოსმონავტი მფრინავის იური გაგარინის სახელობის საერთაშორისო ტურნირი, რომელიც სამამული კალათბურთის სამოცდაათ წლისთავს მიეძღვნა. ტურნირში მონაწილეობდნენ მოსკოვისა და თბილისის დინამოელები, ლენინგრადის „სპარტაკი“, ტარტუს „კალევი“, კაუნასის „ჟალგირისი“, კიევის „სტროიტელი“, რსფსრ-ს ნაკრები, პრაღის „სპარტა“, სამხრეთ დაკოტის (აშშ) გუნდი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდები. თამაში მეტად დაძაბულად, მაღალ ტემპში და გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 81:78 და იური გაგარინის სახელობის სპატიო პრიზი მათ მიეკუთვნათ. მეორე ადგილი ქართველმა კალათბურთელებმა მოიპოვეს.

ქალთა შორის ეს სპატიო პრიზი მოიპოვა მოსკოვის „დინამომ“, რომელმაც დაამარცხა საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მრავალგზის მფლობელი რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს სახელგანთქმული გუნდი.

ფეხბურთი

გაიმარჯვეს ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 2 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ	ჯ.
„ტორპედო“	13	8	2	3	19-8	18
„არარატი“	13	6	4	3	21-15	16
„დინამო“	13	6	3	4	21-15	15
„დინამო“ თბ.	13	5	5	3	13-10	15
ცსკა	13	5	4	4	20-14	14
„დინამო“ კ.	13	4	6	3	16-15	14
„ზენიტი“	13	5	3	5	19-16	13
„ლოკომოტ.“	13	5	3	5	12-12	13
„ჩერნოზ.“	13	6	1	6	12-18	13
„შახტიორი“	13	4	4	5	11-19	12
„სტ. ხოვეტ.“	13	4	4	5	10-14	12
„ზარია“	13	5	2	6	11-16	12
„სპარტაკი“	13	4	3	6	13-15	11
„დნეპრი“	13	5	1	7	11-17	11
„არარატი“	13	3	5	5	13-20	11
„დინამო“ მნ.	13	2	4	7	9-16	8

ფრე ლაჩხუთში

გუშინ ლაჩხუთში გაიმართა მეორე ლიგის ფეხბურთელთა გუნდების ზონებში გამარჯვებულთა ადგილობრივი „გურიისა“ და სვერდლოვსკის „ურალმაშის“ „ა“ კლასის პირველ ლიგაში მგადასასვლელი პირველი მატჩი. თამაში, რომელსაც მოსკოველი არბიტრი ჟარკოვი სჯიდა, დამთავრდა ფრედ — 0:0.

1947 წელს გამოშვებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხი

ოფიციალური ცხრილი

1976 წლის 15-16 ოქტომბერს ქ. მოსკოვში გამართული დაფარვის ტირაჟისა. ტირაჟში დაფარულია ბრუნვაში გამოშვებულ სესხის ყველა თანრიგში შემდეგი სერიების ჯგუფების (თვითეულში 25-25 სერია) 50-ე ნომრის (№ 01-დან № 50-მდე) ობლიგაციები.

№ სერიიდან № სერიამდე	№ სერიიდან № სერიამდე	№ სერიიდან № სერიამდე	№ სერიიდან № სერიამდე	№ სერიიდან № სერიამდე	№ სერიიდან № სერიამდე	№ სერიიდან № სერიამდე
020001—020025	022876—022900	026376—026400	030026—030050	032576—032600	035251—035275	037776—037800
020026—020050	022951—022975	026401—026425	030051—030075	032601—032625	035276—035300	037826—037850
020051—020075	023001—023025	026501—026525	030101—030125	032676—032700	035376—035400	037951—037975
020076—020100	023026—023050	026676—026700	030126—030150	032726—032750	035401—035425	037976—038000
020101—020125	023251—023275	026701—026725	030176—030200	032801—032825	035426—035450	038001—038025
020151—020175	023326—023350	026751—026775	030426—030450	032826—032850	035451—035475	038126—038150
020251—020275	023376—023400	026801—026825	030451—030475	032876—032900	035476—035500	038151—038175
020276—020300	023401—023425	026901—026925	030501—030525	033051—033075	035601—035625	038201—038225
020301—020325	023426—023450	026951—026975	030551—030575	033076—033100	035626—035650	038226—038250
020351—020375	023476—023500	026976—027000	030576—030600	033101—033125	035701—035725	038276—038300
020376—020400	023501—023525	027001—027025	030626—030650	033151—033175	035726—035750	038301—038325
020401—020425	023526—023550	027126—027150	030651—030675	033201—033225	035826—035850	038326—038350
020426—020450	023551—023575	027176—027200	030701—030725	033226—033250	035876—035900	038351—038375
020451—020475	023576—023600	027201—027225	030726—030750	033351—033375	035926—035950	038376—038400
020501—020525	023626—023650	027276—027300	030801—030825	033376—033400	035976—036000	038451—038475
020526—020550	023651—023675	027301—027325	030826—030850	033451—033475	036001—036025	038476—038500
020551—020575	023676—023700	027326—027350	030851—030875	033551—033575	036026—036050	038501—038525
020576—020600	023701—023725	027351—027375	030901—030925	033576—033600	036051—036075	038601—038625
020626—020650	023751—023775	027376—027400	030926—030950	033601—033625	036076—036100	038651—038675
020676—020700	023776—023800	027401—027425	030951—030975	033751—033775	036151—036175	038676—038700
020701—020725	023801—023825	027426—027450	030976—031000	033801—033825	036176—036200	038726—038750
020726—020750	023876—023900	027501—027525	031076—031100	033826—033850	036276—036300	038751—038775
020776—020800	023901—023925	027526—027550	031101—031125	033851—033875	036301—036325	038776—038800
020826—020850	023951—023975	027626—027650	031201—031225	033876—033900	036326—036350	038876—038900
020876—020900	023976—024000	027726—027750	031226—031250	033951—033975	036376—036400	038901—038925
020926—020950	024051—024075	027776—027800	031401—031425	033976—034000	036401—036425	039026—039050
020951—020975	024151—024175	027801—027825	031501—031525	034051—034075	036426—036450	039076—039100
021026—021050	024176—024200	027876—027900	031526—031550	034076—034100	036451—036475	039101—039125
021076—021100	024201—024225	027926—027950	031551—031575	034126—034150	036476—036500	039126—039150
021101—021125	024251—024275	027976—028000	031601—031625	034151—034175	036526—036550	039176—039200
021126—021150	024276—024300	028001—028025	031626—031650	034301—034325	036626—036650	039226—039250
021151—021175	024326—024350	028126—028150	031651—031675	034351—034375	036651—036675	039276—039300
021176—021200	024351—024375	028151—028175	031676—031700	034451—034475	036701—036725	039326—039350
021201—021225	024376—024400	028176—028200	031701—031725	034551—034575	036776—036800	039451—039475
021251—021275	024451—024475	028226—028250	031751—031775	034576—034600	036826—036850	039526—039550
021326—021350	024501—024525	028376—028400	031776—031800	034626—034650	036926—036950	039551—039575
021351—021375	024526—024550	028426—028450	031826—031850	034676—034700	036951—036975	039626—039650
021376—021400	024551—024575	028451—028475	031851—031875	034701—034725	037001—037025	039651—039675
021401—021425	024601—024625	028476—028500	031976—032000	034726—034750	037051—037075	039676—039700
021526—021550	024726—024750	028501—028525	032026—032050	034751—034775	037101—037125	039701—039725
021601—021625	024776—024800	028576—028600	032101—032125	034776—034800	037201—037225	039726—039750
021626—021650	024801—024825	028601—028625	032126—032150	034826—034850	037276—037300	039776—039800
021701—021725	024876—024900	028651—028675	032351—032375	034901—034925	037301—037325	039826—039850
021776—021800	024926—024950	028676—028700	032401—032425	034926—034950	037326—037350	039876—039900
021801—021825	024976—025000	028751—028775	032426—032450	034976—035000	037376—037400	039901—039925
021826—021850	025026—025050	028801—028825	032476—032500	035026—035050	037401—037425	039926—039950
021851—021875	025076—025100	028851—028875	032501—032525	035051—035075	037451—037475	039951—039975
021876—021900	025201—025225	028876—028900				
021901—021925	025326—025350	028901—028925				
021926—021950	025426—025450	028926—028950				
021951—021975	025451—025475	028951—028975				
022051—022075	025576—025600	028976—029000				
022101—022125	025651—025675	029001—029025				
022126—022150	025676—025700	029026—029050				
022201—022225	025701—025725	029051—029075				
022226—022250	025726—025750	029101—029125				
022251—022275	025776—025800	029126—029150				
022276—022300	025801—025825	029351—029375				
022326—022350	025851—025875	029376—029400				
022351—022375	025901—025925	029526—029550				
022376—022400	025926—025950	029576—029600				
022401—022425	026001—026025	029601—029625				
022476—022500	026051—026075	029651—029675				
022501—022525	026076—026100	029726—029750				
022526—022550	026151—026175	029801—029825				
022551—022575	026176—026200	029851—029875				
022626—022650	026201—026225	029876—029900				
022651—022675	026226—026250	029951—029975				
022676—022700	026251—026275	029976—030000				
022701—022725	026276—026300	030001—030025				
022776—022800	026351—026375					

ცხრილის ახსნა-განმარტება

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის ობლიგაციათა დაფარვა წარმოებდა სერიების ჯგუფებით, ამიტომ ცხრილში აღნიშნული სერიების ნომრების რიცხვში შევიდა ამ სერიების ნომრები, რომლებმაც წინათ მოიგო ან დაიფარა 1957 წლის 19 აპრილამდე გამარჯვული ტირაჟებში. ამ ტირაჟში დაფარულ ობლიგაციათა თანხამ 800 მილიონი მანეთი შეადგინა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის ობლიგაციებით 1961 წლის 1 იანვრიდან წარმოებული ფასების მასშტაბის შეცვლის გათვალისწინებით 10 1-თან შეფარდებით გაიცემა შემდეგი თანხები:

აღნიშნულია ობლიგაციაზე	გაიცემა:
500 მან.	50 მან.
200 მან.	20 მან.
100 მან.	10 მან.
50 მან.	5 მან.
25 მან.	2 მან. და 50 კაპ.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალარიოებე 1976 წლის 1 ნოემბრიდან აწარმოებენ დაფარვის ტირაჟში გამოსული ობლიგაციების განაღდებას.

კომისიის თავმჯდომარე — ქ. მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების ლენინის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. ი. სმირნოვი.**

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **ლ. პ. ესინა.**

ტელევიზია

2 ნოემბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან) 10.30 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ტურბინების დღეები“ (პირველი და მეორე სერია) ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — პირველად ჩვენს ეკრანზე — დოკუმენტური ფილმი „ამხანაგი ქალი“, 18.25 — განცხადებები, 18.30 — მოსწავლეთათვის — „კომუნისტებისაგან ვიღებთ მაგალითს“, 19.00 — მოსწავლეთათვის — ინგლისური ენა, 19.30 — „წინასაღდესასწაულო ქვეყანა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.45 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „მფრინავი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — კონცერტი, 23.05 — „სპორტული მიმოხილვა“.

მეორე პროგრამით

18.05 — მეექვსეკლასელთათვის — ფიზიკა, 18.50 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ყანჩები“ (პრემიერა), 19.10 — სტუდენტთათვის — თეორიული მექანიკა, 19.55 — პირველად ჩვენს ეკრანზე. კინონარკვევი „ვერცხლის რელსი“, 20.15 — განცხადებები, 20.20 — დოკუმენტური ფილმი „შეხვედრა სცენის ოსტატებთან“, 21.20 — მხატვრული ფილმი „ღონ კიხოტი“.

ოპერა

3 ნოემბერი

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — კამერული მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ხ. მირიანაშვილი — სიმღერები, 11.05 — ა. სკრიაბინი — „ექსტაზის პოემა“, 11.45 — საუბარი „პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა — თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე“, 13.15 — ამინდის ბიულეტენი, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — დ. გამრეკელის კონცერტი, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“ — ნ. ოსტროვსკი — „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. — რომანი, 14.20 — „რუსული მუსიკის ფესტივალი საქართველოში“ — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კამერული ორკესტრის კონცერტი, 17.15 — დ. არაყიშვილი — რომანსები, 17.40 — „ყველაზე პატარებისათვის“ — „ლაპარაკობს რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.10 — ნ. მამისაშვილი — კონცერტინო ვიოლინისა და ორკესტრისათვის და საორკესტრო პიესები, 18.45 — ბ. ტერეშტენკოვი — სიმღერები, 19.00 — „მწვრალი მიკროფონთან“ — ჯ. კალაძე, 19.15 — ქართული ხალხური მუსიკა, 19.40 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი. „კომუნისტური და მუშათა პარტიების ბერლინის კონფერენცია მნიშვნელოვანი წვლილია მშვიდობიანი ერთობისათვის, თანამშრომლობისა და პროგრესისათვის ბრძოლის საქმეში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“. ტრანსლაცია ერევნიდან, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — ახალგაზრდობისათვის. რეპორტაჟი „ვემსახურება საბჭოთა კავშირს“. 21.30 — მღერის მ. დელმონაკო, 22.00 — ო. იოსელიანი — „ცხოვრების სიბრძნე“ რადიოდადგმა, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა.

თეატრები

2 ნოემბერი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — თუთარაშელა, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **რას იტყვის ხალხი.**

ეს ვნახეთ, ეს შოკისმოგვარი



კომუნისტი

ზრ0096 თბილისი-96 ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებისა—99-93-03. 99-03-09. პ/მგ მდივნის — 99-72-80. ხამდივნოსი — 99-66-10 განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61. პროპაგანდის — 93-22-93. პიონერთა — 93-20-34. სოფლის მეურნეობის — 99-62-46. საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70. მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58. ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01. ინფორმაციის — 93-16-90. უცხოეთის — 99-60-21. წერილების — 99-73-24. ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60443 უე 14041

სტ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14